

ს. აგალიანი

სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი.

მიწისძლობელობა საქართველოში

30794



ქუთაისი
სამაზრო ერობის სტამბა
1920



1917 წელს რუსეთის დროებითი მთავრობის მიწის-
მოქმედების სამინისტრო აგროვებდა მასალებს მიწის სა-
კითხის მდგომარეობის შესახებ რუსეთში. ეს მასალები
მიწისმფლობელობის რეფორმებს საფუძვლად უნდა და-
დებოდა. სამინისტროს წინადადებით მე დავამზადე მიწის-
მფლობელობისა და მიწით სარგებლობის გამოკვლევა ამი-
ერ კავკასიაში. ამ გამოკვლევის გამოქვეყნებას ხელი შეუ-
შალა ბოლშევიკების მიერ გამოწევულმა სახელმწიფო ბრივი
წესწყობილების გადატრიალებამ, რაღაც ამის შემდეგ მი-
წისმოქმედების სამინისტრო დაიშალა. დაიშალა Главниය ی
земельныи комитетъ-იც, რომელიც ამუშავებდა მიწის-
მფლობელობისა და საერთოდ რუსეთში მიწის საკითხის
რეფორმის კანონპროექტს, და ამ მიზეზის გამო აღნიშნუ-
ლი გამოკვლევა ვერ იქნა დაბეჭდილი.

ეს წიგნაკი არის გადამუშავებული ნაწილი ჩემი გა-
მოკვლევისა ახალი მასალების მიხედვით, განსაკუთრებით
მიწისმფლობელობის შესახებ საქართველოში.*.) მთელი გა-
მოკვლევის გამოქვეყნება ჯერ-ჯერობით შეუძლებელი
არის. აუტანელი სიძვირე ქალალდისა და ხელ-ფასისა
რთულ გამოკვლევათა ბეჭდვას ხელს არ უწყობს. გარდა
ამისა, ამ ჟამათ დამუშავებულია ახალი მასალებიც. ახალ
მასალებს ბევრი ცვლილება და შესწორება შეაქვს გამო-
კვლევაში და, ვიღრე მასალები სრულიად არ იქნება და-
გროვებული და დამუშავებული, მთლიანათ გამოკვლევის
გამოცემა ნააღრევათ მიმაჩნია. მიწისმფლობელობის შესა-

*) ამავე საგანზე 1919 წ. სახელმწიფო უნივერსიტეტში მე წა-
ვიკითხე ლექციები.

ხებ კი უკვე არის დამუშავებული ახალი მასალები და ამ მასალების მიხედვით ამ ნაშრომის გამოქვეყნებაც მისალები უნდა იქნეს.

უმთავრესი მასალა, რომელზედაც ეს ნაშრომი დამყარებულია, დაგროვებულია მიწისმოქმედების სამინისტროს სტატისტიკური განყოფილების მიერ, ეს არის 1917 წლის სასოფლო-სამეურნეო აღწერილობის მასალა. იმ მასალასთან შედარებით, რომლითაც ძქამდე ვსარგებლობდით, 1917 წელს შეკრეფილი მასალა გაცილებით უფრო სწორია, კარგათ არის დამუშავებული და უფრო მეტი ნდობის ღირსია.

ს. ა.

მიწის ფონდი საქართველოში.

რუსეთის მთავრობას საქართველოში მიწის ფონდის რაოდენობა არ გამოუკვლევია. საქართველოში მიწის ოღწერა, კადასტრი, არ მომზღარა; ჩვენში მიწის გამიჯვნა არ დამთავრებულა 1917 წლამდი. რუსეთის მთავრობის სტატისტიკური გამოკვლევის მიხედვით მხოლოდ დაახლოებით ვიცოდით საქართველოს მიწის ფონდის რაოდენობა. რუსეთის სტატისტიკა მიწებისა საქართველოში არ იყო სწორი, ყალბ საფუძველზე იყო აშენებული.

1917 წელს შეკრებილი ახალი მასალები უფრო შეეფერება სინამდვილეს, გაცილებით უფრო სწორია და სანდო. ამაზე უკეთესი მასალა არ მოგვეპოება და არც გვექნება მანამდი, ვიდრე საქართველოში სრული კადასტრი არ მოხდება.

თუთილისისა და ქუთაისის გუბერნიის და სოხუმის ოლქში 5.537.207 დესეტინა ნიჭა ირიცხება. ეს არის ფონდი, რომელიც განაწილებული იყო კერძო მესაკუთრეთა და ხაზინას შორის. მიწების ფონდიდან 3.517.195 დესეტინა, ანუ 64,4% გამოსადეგია სოფლის მეურნეობისათვის. დამუშავებული მიწები, რომლებზედაც უკვე გამართულია კულტურული მეურნეობა, 1.295.457 დესეტინას შეადგენს. მთელი ფონდის 23,3% უკვე დამუშავებულია, —ამ მიწებზე მოწყობილია მეურნეობა. მთელი ვარგისი მიწებისაგან დამუშავებული მიწების რაოდენობა შეადგენს 36,7%.

უვარვისი მიწა ისეთი მიწა კი არაა, რომლის გამოყენებაც არ იყოს შესაძლო. საქართველოში ჯერ-ჯერობით მოიპოვება ისეთი მიწა, რომელსაც უვარვისი მიწის სახელი ეწოდება. ეს არის დროებითი მდგომარეობა, მაჩვენებელი ჩვენი მეურნეობის დაქვეითებისა. ჩვენში არ არის მეურნეობის ცოდნა იმდენათ გავრცელებული, რომ მიწები სავსებით გამოვიყენოთ. თუ უვარვისი მიწა ისეთი

მიწაა, სადაც ჯერ მეურნეობა არ მოწყობილა, ასეთი მდგომარეობა სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ უვარგისათ წოდებული მიწა სრულიად გამოუდევარი იყოს მეურნეობისათვის. უვარგისია ზოგიერთი მიწა, რაღაც ვერ მოგვიწყვია მეურნეობა უცოდნელობისა და გამოუცდელობის გამო. მაგალითად, ყარაიაზის ველი უვარგისათ ითვლება, მაგრამ ამ ველზედ შესაძლოა მოეწყოს მეურნეობა, თუ რომ იგი მორწყული იქნება. ამ ველზე წყლის არხების გაყვანას თუ მოვახერხებთ და მას წყლით უზრუნველვყოფთ, მაშინ შესაძლო გახდება უმაღლესი ხარისხის მეურნეობის წარმოება. მაშასადამე, ყარაიაზის ველი, რომელიც 121.149 დესიატინას შეიცავს, უვარგისი იქნება მანამდი, ვიდრე მისი მორწყვის საკითხი არ მოგვარდება.

მეურნეობისათვის გამოსადევ მიწებზედაც ჯერ არ არის გამართული მეურნეობა სავსებით. მხოლოდ 23,30% ამ მიწებისა მოქცეულია სამეურნეო კულტურის ქვეშ.

მაშასადამე, ჩვენი მიწის ფონდი არაა მცირე, ოღონდ მთელი ფონდი არ არის ჯეროვანად გამოყენებული, მეურნეობისათვის მოხმარებული.

საქართველოს მიწის ფონდი ამნაირათ არის დანაწილებული:

დამუშავებული მიწები	%	საძოვარი	%	ტ ყ ვ	%	ს უ ლ
1.335.756	24,1	1.714.613	30,9	2.486.838	44,9	5.537.207

აქიდან ცხადია, რომ საქართველოში ტყეს მეტი ნაწილი უკავია.

ამით აიხსნება შედარებით მცირე ნაწილი დამუშავებული მიწებისა, — 24,1%. აღსანიშნავია საქართველოს მეურნეობის თვისება: 30,9% მიწებისა დაკავებულია საძოვარ-საბალახე მიწებით და ამ მიწებზედ საქონლის გასადენი გზებით. საქართველოს მესაქონლეობა ვერ აშორდა მეურნეობის ძველ წესს. საძოვარ ადგილებს დიდი სივრცე უკავია. საძოვარი ადგილების ნაწილი მაღლობზეა, მთებზედ, მთის ფერდოებზედ, სადაც მეურნეობა ან შეუძლებელია, ანდა ისეთ სიძნელეს, ხარჯებსა და მუშაობას მოითხოვს, რომ გაწეული ხარჯების და შრომის მხოლოდ

მეურნეობით ანაზღაურება არ არის შესაძლებელი და ხელ-საყრელი მეურნესათვის. საერთო საძოვარი ადგილებიდან თუ ასეთ ადგილებს გამოვრიცხავთ, დარჩება იმდენი სა-ძოვარი ადგილი, რომელიც სრულიად გამოსაღები იქნება მეურნეობისათვის.

მხოლოდ ამისათვის საჭიროა მესაქონლეობის წე-სის შეცვლა. დღეს კი ისე არის დაყენებული მე-საქონლეობა, რომ საჭიროა დიდი სივრცე საძოვარი ადგილებისა. თუ მესაქონლეობა გადაკეთდება და შემო-ლებულ იქნება საქონლის ხელოვნურათ საზრდოობა ოჯახშივე, მაშინ დღევანდელი საძოვარი ადგილების ნა-წილი სოფლის მეურნეობისათვის განთავისუფლდება.

მთელი მიწის ფონდიდან ხაზინას ეკუთვნოდა 2.020.012 დესიატინა ანუ $36,4\%$: საქართველოში ხაზინა იყო დიდი მიწის მფლობელი.

ხაზინის მიწები ასე იყო დანაწილებული.

იჯარით და ქირით გაცემული	%	ტ ყ ვ	%	საძოვარი და საბალახო	%	ს უ ლ
40.599	2,0	1.576.815	78,0	402.598	19,5	<u>2.020.012</u>

ხაზინის მიწისმფლობელობას საქართველოში ისეთი-ვე სახე აქვს, როგორც კერძო მიწისმფლობელობას. ტყე და საძოვარი სჭირდობს სხვა დანიშნულების მიწებს.

კერძო მიწისმფლობელობას მთელი ფონდიდან ეკუ-თვნოდა 3.517.195 დესიატინა. საქართველოს მიწის ფონ-დიდან $63,5\%$ კერძო მიწისმფლობელობას ეკუთვნოდა.

მიწისმფლობელთა მესამე ჯვუფს გლეხები, გლეხთა საზოგადოებანი და ხიზნები წარმოადგენენ. ამ ჯვუ-ფებს უნდა შეუერთოთ წვრილი მიწისმფლობელები. ამათ-გან თითო კომლს ქონდა საშუალოთ არა უმეტეს ხუთი დესიატინისა. ყველა ამათ მთელი ფონდიდან ქონდა 2.915.080 დესიატინა, $52,6\%$ მთელი მიწის ფონდისა. გლეხებს და გლეხთა საზოგადოებების კუთვნილებას შე-ადგენდა ნახევარზედ მეტი მიწები სახელმწიფოს ფონდი-დან. მაშასალამე, მიწისმფლობელთა შორის საში უდიდესი

ჯგუფი იყო: გლეხობა, ხაზინა და საერთოდ კერძო მიწისმფლობელნი.

საყურადღებო არის გავითვალისწინოთ რაგვარი მიწისმფლობელობა იყო საქართველოში. სტატისტიკური გამოკვლევა მიწისმფლობელებს ორ ჯგუფათ ყოფს. ერთ ჯგუფს შეადგენს ისეთი მიწისმფლობელები, რომელთაც ეკუთვნის არა უმეტეს 5 დესიატინისა და მეორეს,—რომელსაც აქვს 5 დეს. მეტი. მეორე ჯგუფი ფლობდა 2.059.655 დესიატინას ანუ 37,1%—ს,—უმრავლესობას საქართველოში შეადგენდენ მიწის წვრილი მფლობელნი. საქართველო იყო წვრილი მიწისმფლობელობის ქვეყანა. სულ კერძო მფლობელობის რიცხვს საქართველოში შეადგენდა 113.334 სული, თითოეულს მათგანს ეკუთვნოდა არა უმეტეს 5 დესიატინისა. 5 დეს. მეტი ეკუთვნოდა 28.111 მფლობელს, ესენი შეადგენდენ 23,5%. მაშასადამე, უმრავლესობა წვრილი მიწისმფლობელებათ უნდა ჩაითვალოს. ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჯგუფი, რომელსაც ეკუთვნოდა 5 დესიატინაზე მეტი, გაჭირვებით შეიძლება ჩავთვალოთ სხვილ მიწის მფლობელათ. მხოლოდ ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ საქართველოში 5 დესიატინა არ არის მცირე მფლობელობა, რადგან საქართველოში მიწის ხარისხი და ბუნებრივი თვისებანი შესაძლებლათ ხდის მეურნეობის უმაღლესი დარგის წარმოებას.

უკვე იყო ნათქვამი, რომ მთელი მიწის ფონდიდან ხაზინას ეკუთვნოდა 1.335.756 დეს. ხაზინას ეკუთვნოდა დიდძალი მიწები. რანაირათ ჩაუვარდა ხაზინას ამდენი მიწა? რანაირათ შეიქნა ხაზინა ამდენი მიწის მესაკუთრე? გასული საუკუნის მე-50 წლებში რუსეთის მთავრობამ მოიწადინა მიწის მესაკუთრეობა, რათა გაეჩინა ფონდი მიწისმფლობელობის მოსაწყობათ ამიერ-კავკასიაში. 1861 წლ. 29 ივლისს გამოიცა კანონი ამიერ-კავკასიის გამიჯვნის შესახებ. მიწების გამიჯვნის საქმე 1867 წლის 9 დეკემბერს მომხდარი მეფის განკარგულებით დაუქვემდებარეს ახლად შემოღებულ სასამართლო დაწესებულებებს. 1887 წლის 2 ივლისს გამოიცა ახალი წესი მიწების გამიჯვნისა. ამ კანონის გამოქვეყნების შემდეგ დაიწყენ ხაზინი-

სათვის მიწების გამიჯვნა. ჩვეულებრივათ ასე ხდებოდა: მიჯვნავდენ მიწების დიდ სივრცეს, რამდენიმე თავისუფალ დესიატინას; მაგალითად, შეუდგენ ელისავეტპოლის გუბერნიაში ყაზახის გამიჯვნას, რომელიც შეიცავდა 80,000 დესიატინას. ასევე დიდი სივრცის გამიჯვნის დროს გამოყოფდენ კერძო მესაკუთრების ნაკვეთებს, დანარჩენს უმიჯვნავდენ ხაზინას. გამომიჯვნულ მიწებს ისაკუთრებდა ხაზინა, რომლის უფლებაც ძლიერ საეჭვო იყო. მიწების ხაზინისათვის გამოყოფა და მისაკუთრება სრულებით დამოკიდებული იყო ხაზინისადმი გამმიჯვნავი მოხელის გულმოდგინეობაზე. მოხელე მიწების გამიჯვნის დროს თითონ სწყვეტდა საკითხს, ეკუთვნოდა მიწა ხაზინას თუ სოფლის საზოგადოებას. მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი ამბობს, რომ მოხელე კანონმდებელიც იყო. ინებებდა, მიწას ხაზინას მისაკუთრებდა, ინებებდა და სოფლის საზოგადოებას, ან კერძო მფლობელს. ვორონცოვ-დაშკოვი მოგვითხრობს: „არა ერთხელ დამტკიცებულა, რომ, თუ მიწების გამმიჯვნავ მოხელეთა შორის იყო ისეთი მოხელე, რომელიც ფიქრობდა გლეხების დაცვას, ის ყოველთვის შესძლებდა გამოემიჯვნა გლეხებისათვის რაც შეიძლება მეტი სახაზინო მიწა. ასეთი მოხელე ხაზინის უფლებებს ისე განმარტავდა, რომ ხაზანა ყოველთვის კარგავდა მიწებს. თუ მიწების გამიჯვნის მწარმოებელი თავდადებული დამცველი იყო ხაზინისა, იგი ცდილობდა დაემტკიცებია, რომ მიწები, რომელზედაც საკუთრებას გლეხები აცხადებენ, ეკუთვნოდა ხაზინას,—თუ არ ეკუთვნოდა, მაინც უნდა ეკუთვნოდეს ხაზინას. ასეთ შემთხვევაში, რა თქმა უნდა, გლეხები კარგავდენ იმ მიწების ნაწილსაც, რომელიც მათ ეკუთვნოდა, მათ ფლობელობას შეადგენდა“.

კავკასიის უმაღლესი აღმინისტრაციის წარმომადგენელი დარშმუნდენ, რომ „მოხელეთა პირად შეხედულებებზე და განზრახვებზე დამყარებით ხაზინის უფლებების განმტკიცება და დაცვა შეუძლებელი იყო.

კავკასიის აღმინისტრაციამ სახაზინო მიწებათ ჩარიცხა ის მიწები, რომელიც ბეგებს, აღალარებს და თიულისტებს ეკუთვნოდა. მთავრობა ასეთი აზრისა იყო,

მაჰმადიანთა სამართალმა არ იცის მიწის კერძო საკუთრება, არ აღიარებს მიწას კერძო საკუთრებათ; რუსეთის მთავრობის გაბატონებამდი ამიერ კავკასიაში მიწები ხანების და სულთანების კერძო კუთვნილებას შეადგენდა. ესენი კი გადასცემდენ მიწის სარგებლობის უფლებას სხვადასხვა პირსა და ჯგუფებს. რუსეთი ამიერ კავკასიაში შემოსვლის შემდეგ, განმარტავს აღგილობრივი აღმინისტრაცია, შეიქმნა მაჰმადიანების მმართველსა მემკვიდრეებათ, მაშასადამე, მიწის მესაკუთრეობის მაჰმადიანების უფლებების მემკვიდრე რუსეთის მთავრობაა, ე. ი. რუსეთის ხაზინაო.

რუსეთის მთავრობამ ამიერ კავკასიაში შექმნა ხელოვნური საფუძველი უფლებისა. ბეგები და აღალარები იყვნენ მიწის მფლობელი და მესაკუთრენი. მართალია, ბეგებს და აღალარებს სულთანები და ხანები აძლევდენ მიწებს სამსახურისათვის. მართალია ისიც, რომ ბეგებსა და აღალარებს ეძლეოდა მაჰმადიანთა მთავრობისგან მიწის სარგებლობის უფლება და არ ეძლეოდათ მიწა საკუთრებათ. მხოლოდ არ უნდა დავივიწყოთ, როთ ასეთი შეხედულება იყო განყენებული. ბეგებს და აღალარებს ეძლეოდათ მიწის სარგებლობის უფლება, მაგრამ მათგან ეს უფლება მემკვიდრეებზე გადადიოდა. მიწების მემკვიდრეობით სარგებლობა საშვილი-შვილოდ გადადიოდა და თანდათან გამკვიდრდა აზრი, რომ მიწები შეადგენს კერძო საკუთრებას. უფლება და ცხოვრება ერთი მეორეს დაშორდა. ცხოვრებამ სძლია უფლებას და კანონს. რუსეთის მთავრობამ აღიარა ბეგების და აღალარების მიწები ხაზინის საკუთრებათ და ასეთი მდგომარეობა კანონით დაადასტურა. ბეგებს და აღალარებს არ ქონდათ წერილობითი საბუთები და საშვალება და მათ მოესპო მიწის საკუთრების ან სარგებლობის უფლების დამტკიცება.

ქუთაისის და ობილისის გუბერნიაში, საღაც განსაკუთრებით ქრისტიანები იყვნენ დასახლებული, ხაზინას ასეთი საბუთები არ ქონდა და მიწების მითვისება ისე ვერ მოხერხდა, როგორც ამიერ კავკასიის სამაჰმადიან ნაწილებში. ქუთაისის და ოფილისის გუბერნიებში უკვე

ძველათ დამკვიდრებული იყო კერძო საკუთრება. ეს უფლება იყო უტყუარი და მისი უარყოფა შეუძლებელი იყო. ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ აქ ბევრი მიწა ვერ მიითვისა ხაზინამ.

თავად-აზნაურობის მიწისმფლობელობა.

თავად-აზნაურობის მიწისმფლობელობის გამოკვლევა ძნელია, რადგან საქართველოს მასალები არ გვაქვს. ჩვენ მასალებში ხშირად იხმარება სიტყვა „კერძო მფლობელი“. თავად-აზნაურობა კერძო მფლობელია. მხოლოდ კერძო მფლობელთა შორის არის არათავად-აზნაურობაც, მაგრამ მათ შორის უმრავლესობას თავად-აზნაურობა შეადგენს.

საქართველოში ბატონ-ყმობის გაუქმების დროს 1864—1865 წლ. ნაწილი მიწებისა დაუთმეს განთავისუფლებულ გლეხობას. მიწები გლეხებს უნდა შეეყიდათ. დაახლოებით ვიცით, რამდენი მიწები დაუთმეს გლეხებს და რამდენი დაიტოვა თავად-აზნაურობაში:

გუბერნია	გლეხებს გადაეცა დესივატინა	თავად-აზნაურობას დარჩა დარჩა დესივატინა	თავად-აზნაურობას დარჩა რამდენჯერ მეტი გლეხებზე
ქუთაისის	134.796	961.502	7
თბილისის	210.770	815.321	4

თავად-აზნაურობის მიწისმფლობელობაში უეჭველათ მოხდა ცვლილება, თავად-აზნაურობის მიწისმფლობელობა ჩაება მიწის მობილიზაციაში. მიწები თავად-აზნაურობას გამოეცალა ხელიდან, გადავიდა ახალ მესაკუთრეთა ხელში. მიწის მობილიზაცია გამოწვეული იყო ცხოვრების ახალი პირობებით. თავად-აზნაურობაშ ბატონ-ყმობის გაუქმების შემდეგ თავად-აზნაურობას არც კოდნა და არც უნარი ქონდა (ასეთი იყო ის-სტორიული პირობები) მოეწყო მეურნეობა, მან ვერ შეითვისა ახალი პირობები და მას ხელიდან ნელ-ნელა გამოეცალა მიწები. რუსეთისა და იაპონიის შორის ომიანობის შემდეგ დაიწყო პოლიტიკური მოძრაობა. მოძრაობაში დიდი მონაწილეობა მიიღო გლეხობამ, რომელიც ამხედრდა მიწის კერძო მესაკუთრეების—განსაკუთრებით

თავად-აზნაურობის წინააღმდეგ. ამ მოძრაობამ დააჩქარა მიწის მობილიზაცია. მხოლოდ ეს ჩვენ არ შეგვიძლია და-ვასაბუთოდ მასალებით. უეჭველია კი მიწის მობილიზაცია მოხდა საქართველოში და შესცვალა თავად-აზნაურობის მიწისმფლობელობა:

მიმღინარე საუკუნის დასაწყისში თავად-აზნაურობას ეკუთვნოდა თფილისის გუბერნიაში — 992.216 დეს.

ქუთაისის 495.125 1481.341

ამ ცნობების შედარება ძლიერ ძნელია კი ცნობებთან, რომელიც მე-60 წლების თავად-აზნაურობის მიწისმფლობელობას შეეხებოდა.

მიწისმოქმედების სამინისტროს სტატისტიკური გან- ყოფილების უკანასკნელი ცნობები გვაძლევს საშვალებას უფრო მკაფიოთ გამოვარკვიოთ თავად-აზნაურობის მიწის- მფლობელობა. ესაა უკანასკნელი ცნობები და თითქმის სწორი ცნობებიც.

თავად-აზნაურობას 1918 წლის 1 იანვრისათვის ეკუთნოდა:

თფილისის გუბერნიაში — 511.538 დეს.

ქუთაისის 110.157 "

სულ 621.695 დეს.

შევეცადოთ, რომ ეს ცნობები ზემომოყვანილ ცნო- ბებს შევადაროთ:

	თფილისის გუბ.	ქუთაისის გუბ.
მე-60 წლ. . .	961.502	815.321
მე-XX საუკუნის		
დასაწყისიში	992.216	495.125
1918 წ. 1/I. . .	511.538	110.157

ამ ცნობების დაპირდაპირება ძლიერ ძნელია, რად- გან მათი სინამდვილე საეჭვოა. მხოლოდ ერთი რამ არის სრულიად უტყუარი, — თავად-აზნაურობის მიწისმფლობე- ლობა შემცირდა, დიდი ნაწილი მიწებისა თავად-აზნაუ- რობამ დაკარგა. თავადაზნაურობის მიწისმფლობელობა უეჭველათ დაყვა მობილიზაციას. ვინაიდან მასალების შე-

დარება ძნელია და შეუძლებელი, მობილიზაციის ხასიათის გამორკვევაც შეუძლებელია.

თავად-აზნაურობის მიწათა დაგალიანება.

შემდეგი ცხრილიდან სჩანს, თუ რამდენათ დავალი-ანებული იყო თავად-აზნაურობის მიწები:

1/I 1896 წელს

გუბერნია	მიწის რა-ოდენობა დეს.	მიწის კერძო საკუთრების რაოდენობა დესიატ.	დაგირავებული მიწების რაოდენობა დეს.	% დამოკიდებულება მთელ წების რაოდენობა დენ. შედარება.
თფილისის	3.699.856	1.413.535	635.645	45
ქუთაისის	3.311.361	1.172.584	36.920	3

1/I 1899 წელს

თფილისის	3.699.856	1.413.535	710.099	50
ქუთაისის	3.311.361	1.172.584	46.867	4

1/I 1901 წელს

თფილისის	3.699.856	1.413.535	743.147	53
ქუთაისის	3.311.361	1.172.584	55.051	5

1/I 1902 წელს

თფილისის	3.699.856	1.413.535	760.718	54
ქუთაისის	3.311.361	1.172.584	58.396	5

1/I 1906 წელს

თფილისის	3.740.015	1.314.094	632.683	48
ქუთაისის	1.930.740	663.488	54.747	8

თავად-აზნიურებისგან მიწების კერძო დაგირავება თანდათან იზრდებოდა. თფილისის გუბერნიაში გაცილებით მეტი იყო დაგირავებული მიწების რაოდენობა, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში. 1896 წ. დაგირავებული მი-

წები საერთო მიწების რაოდენობასთან შეადგენდა 45%, 1902 წ.—54%, გლეხების მოძრაობის შემდეგ დაგირავებული მიწების რაოდენობა შემცირდა და ჩამოვიდა 1906 წ. 48%—მდი. ქუთაისის გუბერნიაში დაგირავებული მიწების რაოდენობა არ იყო დიდი. 1896—1906 წლ. ქუთაისის გუბერნიაში დაგირავებული მიწების რაოდენობა გაიზარდა 3%—8%. დაგირავებული მიწების ვალი იყო:

გუბერნია	გაცემული სესხი	დარჩა მიწებ- ზე ვალი 1/I 1896 წ.	გაცემული	დარჩა მიწებ- ზე ვალი 1/I 1906 წ.
თფილისის	5.477.399	5.336.255	9.352.700	9.039.251
ქუთაისის	1.987.300	1.849.183	2.772.600	2.508.975

1919 წლ. 1 იანვარამდე ქუთაისის და თფილისის საადგილ-მამულო ბანკებში თფილისის და ქუთაისის გუბერნიებში იყო დაგირავებული 208.891 ღეს., ვალი დაგირავებული მიწებისა უდრიდა 7.628.826 მან.

გლეხთა მიწისმფლობელობა.

სახაზინო გლეხები. სახაზინო გლეხები 231.708 კომლი ირიცხებოდა,—874.574 მამაკაცი. საშვალოდ ხაზინის დამოკიდებულებისაგან განთავისუფლებისას თითო კომლს ხვდა 15 ღესიატინა, თითო სულს მამაკაცს—4 ღესიატინა. საშვალო რიცხვი ნაკვეთებისა არ არის ჭეშმარიტი მღვრმარეუბის გამომხატველი. სახაზინო გლეხები უფრო კარგათ იყვენ მიწით დაკმაყოფილებული, ვიდრე საბატონო, ყმობისგან განთავისუფლებული თავად-აზნაურობის გლეხები.

თფილისის გუბერნიაში—კომლს ხვდა 17,8 ღეს.

სულს მამაკაცს 5,2 „

ქუთაისის	"	კომლს ხვდა	4,2	"
		სულს მამაკაცს	1,3	"

ქუთაისის გუბერნიის სახაზინო გლეხები გაცილებით ნაკლებათ იყვენ მიწით დაკმაყოფილებული, ვიდრე თფილისის გუბერნიისა.

საბატონო გლეხები. თფილისის გუბერნიაში, გარდა ახალციხის და ახალქალაქის მაზრებისა, და ქუთაისის გუბერნიაში ირიცხებოდა 87.571 კომლი (358.300 მამაკაცი). „სანადელო“ მიწები ეკუთვნოდათ 262.768 ღესიატინა, თითო კომლს საშვალოდ 3 ღესიატინა, თითო

სულს მამაკაცისას 0,73 დესიატინისა. ეს ცნობები ამოკრეფილია იმ დოკუმენტებიდან, რომელიც შედგენილი იყო ბატონებისგან გლეხების გაყრის დროს, ევრეთ წოდებული „уставныя грамоты“-დან. დობროვოლსკიმ იმავე დოკუმენტების შემოწმებით გამოიანგარიშა, რომ თფილისის გუბერნიაში გლეხობის 3% სრულებით არ მიუღია მიწა, ნადელი და დარჩენილა უმიწა-წყლოთ.

მიწის ნორმები გლეხებს უკვე განთავისუფლების დროს შეუმცირეს.

თფილისის გუბერნიაში 1864 წ. დებულების ძალით გლეხებს უნდა მიელოთ 10 დესიატინა ურწყავი მიწებისა 5 დესიატინა სარწყავი მიწებისა, მიიღეს—3,9 დესიატინისა; ქუთაისის გუბერნიაში 4,5 დესიატინის მაგიერ მიიღეს 1,5 დესიატინისა. ასე მოხდა იმიტომ, რომ თავადაზნაურობამ ისარგებლა დებულების 35 მუხლით, რომელიც მცირე მიწა-წყლიან თავად-აზნაურობას უფლებას აძლევდა გადაეცა გლეხებისათვის მხოლოდ ძირითადი ნადელი (კორენიშ ნაძლევა).

მცირე მიწა-წყლიან გლეხებს დარჩა ქუთაისის და თფილისის გუბერნიებში 0,9—0,6 დეს. თითო მამაკაცის სულს, ანუ 0,5—0,3 დეს. მამაკაცა და დედაკაცები.

გლეხების რაოდენობა და მიწების გლეხებს შორის დანაწილება სჩანს შემდეგი ცხრილიდან:

გლეხთა ჯგუფი	რამდენი კომლი არის	სულ რამ- დენი მამა- კაცია	ს უ ლ	თითო კომლს მიეცა	თითო სულს
დროებით ვალებული გლეხები თფილისას და ქუთაისის გუბერნიებში, რომლებსაც მიწები არ გამოუყიდიათ . . .	35.876	146.553	102.329	თფილ. გუბერ. 3,7 0,9 ქუთ. გუბერ. 2,5 0,6	
დროებით ვალებული გლეხები, რომლებმაც გამოიყიდეს მიწები	51.695	211.457	160.457	თფილ. გუბერ. 4,3 1,07 ქუთ. გუბერ. 3,0 0,7	
ს უ ლ	87.577	358.000	262.786	3,0	0,75
ზიზნები თფილისის და ქუთაისის გუბერნ.	7.698	30.085	30.901	4,01	1,02

გლეხთა მდგომარეობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ უფრო უმწეო შეიქნა, რაღაც მათი მიწების ნორმები შემცირებულ იქმნა, სრული ცნობები ამ საკითხის შესახებ არა გვაქვს, მხოლოდ ზოგადი გამოკვლევა გვარწმუნებს, რომ თანდათან იზრდებოდა უმიწაწყლო გლეხობის რაოდენობა. 1892—93 წლ. შორაპნის მაზრის (ქუთაისის გუბერნიაში) აღწერილობიდან ვიცით, რომ 1892 წ. ამ მაზრაში იყო 5.766 კომლი, მათ ქონდათ 17.251 დესიატინა მიწა, სანადელო მიწები კი შეაღენდა 12.532 დეს., 4718 დესიატინა ანუ 25% გლეხების მიერ ნაყიდი იყო. გლეხებს ეს ნადელები შესყიდული ბატონებისაგან არ ქონდათ. საშვალოდ თითო კომლს ქონდა $2\frac{1}{5}$ დეს. და 0,4 დესიატინამდე თითო სულს მამაკაცისას. თანახმად 1802—93 წლ. 2 აღწერილობისა 68% დროებით ვალდებულ გლეხობისას ქონდა 0,1—0,6 დეს.

გორის მაზრაში თანახმად 1902 წ. აღწერილობისა მიწები შემჯეგნაირათ იყო დანაწილებული:

1 დესიატინამდე კომლზე ქონდა 36%

1—2	"	"	"	76	"
2—3	"	"	"	16	"
3—5	"	"	"	24	"

საშვალოთ თითო კომლს ქონდა 2,52 დეს. შორაპნის მაზრაში საშვალოთ კომლს ქონდა 0,3 დესიატინამდე; ამნაირათ, დაკმაყოფილებული შორაპნის მაზრაში შეაღენდენ 76% მთელი გლეხობისას. შორაპნის მაზრა ქუთაისის გუბერნიაში და გორის მაზრა თფილისის გუბერნიაში — სანიმუშო მაზრებია და ამ ცნობებით შეიძლება ვივარაუდოთ, რამდენათ დაკმაყოფილებული იყო საქართველოს გლეხობა.

გლეხების მდგომარეობა ბატონყმობის გაუქმების შემდეგ ძლიერ შეიცვალა. მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა.

გლეხთა რიცხვის ზრდასთან იზრდებოდა მიწის სივიწროე და მიწების დანაწილება და დაწვრილმანება. მიწების დაწვრილმანება არ არის იმდენათ საშიში, რომ

შიწების ნადელების დაწვრილმანებასთან ერთად მოსავლი-ანობის რაოდენობის ზრდა გადიდებულიყო. ჩვენ ვიცით, რომ მიწების მოსავლიანობა თვალსაჩინოთ არ გაძიდებულა, რადგან მეურნეობა საქართველოში ძლიერ დაქვეითებული იყო და მიწების დაწვრილმანება გადაიქცა ეროვნულ უბედურებათ.

1917 წ. მასალების მიხედვით ჩვენ შეგვიძლია მთლიანათ დავახასიათოთ გლეხების მდგომარეობა და მათ შორის მიწების განაწილება.

ქუთაისის და თფილისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში 3965 სოფელში 321.383 სამოსახლო იყო, თითოეულ სამოსახლოში 5,84 სული, ერთიანათ მთელ საქართველოში 1.876.869 სული გლეხი იყო. მათ ქონდათ სახნავ-სათესი და სხვა სამიწისმოქმედო მიწები 817,456 დესიატინა. თითო სამოსახლოზედ ქუთაისის გუბერნიაში 2,27 დეს., თფილისის — 2,73 დეს., სოხუმის ოლქში — 2,57 დეს., მთელ საქართველოში თითო სამოსახლოზედ გამოდის 2,54 დესიატინა.

თითო სულზედ: ქუთაისის გუბერნიაში — 0,39 დეს.

თფილისის „ 0,44 „

სოხუმის ოლქში 0,64 „

საქართველოში . . . 0,43 დეს.

დამუშავებული მიწები (სახნავ-სათესი):

სულ დესიატინა	თითო სამო- სახლოზე დეს.
------------------	----------------------------

ქუთაისის გუბერნიაში	. 178.452	1,14
თფილისის „	. 213.254	1,57
სოხუმის ოლქში	. 40.220	1,59

საქართველოში . 481.926 | 1,36

სამოსახლო, რომელიც არ ხნავდა და არ თესავდა:
სამოსახლო | %

ქუთაისის გუბერნიაში	. 10.353	6,61
თფილისის „	. 25.525	18,58
სოხუმის ოლქში	. 1.325	5,25

საქართველოში . 39.690 | 12,35

12,3% გლეხობისა არ ხვნავდა და არ თესავდა. ეს ის გლეხები იყო, რომლებსაც მცირეოდენი მიწა ქონდა, — მათი დახვნა და დათესვა საზარალო იყო, — და თავის მიწებში აშენებდენ ბალებს ან ვენახებს, ხმარობდენ მიწებს მეურნეობის მაღალი კულტურისათვის. არ ხნავდენ და არ თესავდენ აგრეთვე იმიტომ, რომ მათ არ გააჩნდათ მუშა საქონელი — ხარ-კამეჩი. ამ ჯგუფზე უფრო დაბლა იღვენ ის გლეხები, რომლებსაც საქართველოში სრულიად არ გააჩნდათ მიწები. . .

საქართველოს გლეხებს შორის იყვნენ ისეთები, რომლებსაც სრულებით არ ქონდათ სახენავ-სათესი მიწები. ეს იყო სრულიად უმიწაწყლო გლეხები. ასეთები შეადგენდენ:

	სამოსახლო	%
ქუთაისის გუბერნიაში . . .	1751	1,40
თფილისის „ . . .	8253	2,52
სოხუმის ოლქში . . .	5966	3,05
საქართველოში . . .	15.970	2,01

უმრავლესი ნაწილი უმიწაწყლო გლეხობისა იყო თფილისის გუბერნიაში და სოხუმის ოლქში.

ნივთიერი მდგომარეობა საქართველოს გლეხობისა ძლიერ დაქვეითებული იყო. ის მცირე მიწები, რომლებიც საქართველოს გლეხობას ქონდა, არ აძლევდა მათ საშვალებას ხეირიანათ მეურნეობის წარმოებისას. მეურნეობის წარმოება ძნელი იყო, რადგან გლეხობას არ ყავდა მუშა-საქონელი.

მუშა-საქონლის უქონლობა საუკეთესო დამახასიათებელი არის ნივთიერი მდგომარეობა:

	სამოსახლო	%
ქუთაისის გუბერნიაში . . .	69.429	44,29
თფილისის „ . . .	47.229	34,82
სოხუმის ოლქში . . .	8.840	35,05
საქართველოში . . .	125.496	39,51

მაშასადამე, საქართველოს გლეხობის ერთ მესამედზე მეტი ისეთ მდგომარეობაში იყო, რომ მათ არ ყავდათ

მუშა-საქონელი — ხარ-კამეჩი. ეს არის საუკეთესო მაჩვენებელი იმისა, რომ ნივთიერი მდგომარეობა გლეხობისა ძლიერ დაქვეითებული იყო.

რანაირათ იყო განაწილებული ის მიწები, რომელიც საქართველოს გლეხობას ქონდა:

საერთოდ საქართველოში საქონლის რაოდენობა ძლიერ მცირე არის. თითო სამოსახლოზე დაქართველოში შედის 9,58 თავი. მუშა-საქონლის რაოდენობა თითო სამოსახლოზე შეადგენს:

ქუთაისის გუბერნიაში — 1,06.

თფილისის „ 1,93.

სოხუმის ოლქში 1,43.

~~საქართველოში 1,46 თავი.~~

სრულიად უსაქონლოთ არის 48.381. სამოსახლო — 15,23% გლეხობისას სრულიად არ ყავს მუშა საქონელი:

ქუთაისის გუბერნიაში სამოსახლო — 69.429 — 44,29%

თფილისის „ „ „ 47.229 — 34,82 „

სოხუმის ოლქში „ „ „ 8.840 — 35,05 „

~~საქართველოში — 125.496 — 39,51%~~

მაშასადამე, ერთ მესამედზე მეტი მთელი გლეხობისა იმდენათ დაქვეითებული იყო, რომ მას არ გააჩნდა მუშა-საქონელი. ნივთიერათ ჩამორჩენილი გლეხების მიწები შემდეგნაირათ იყო დანაწილებული:

გუბერნია	დახვნული და დათესილი ხორბლეულობით		ბალები და ვენახები	
	სულ იყო დანწული და დათესილი დესიტინა	თითო სამოსახლოზე დანწული და დათესილი დესიტინა	სულ ბალები და ვენახები დესიტინა	თითო სამოსახლოზე დესიტინა
ქუთაისის.....	220.169	1,40	18.642	0,12
თფილისის ...	341,654	2,52	15.336	0,11
სოხუმის ოლ.	77.349	3,01	4.548	0,18
საქართველ.	639.072	2,01	38.526	0,12

თითო სულზე დახვნული დათესილი მიწა იქნება.

ქუთაისის ბუბერნიაში — 0,24 დეს.

თფილისის	0,40	"
სოხუმის ოლქში	0,60	"

საქართველოში—0,34 "

საქართველოში იმდენათ დაწვრილმანებული და დაწუცმაცებული იყო მიწები, რომ გლეხების მოთხოვნილებას მიწები ვერ აკმაყოფილებდა. გლეხები იძულებული იყვენ გაეფართოებიათ მიწისმფლობელობა, ხელი მოემართათ და იჯარისათვის მიემართათ.

იჯარის მღვმარეობა ასეთი იყო:

გუბერნია	სულ იჯარით თითო სამოსახ- ალებული იყო ლოშე იჯარით დესიატინა ალებული დეს.	თითო სამოსახლოს აქვს იჯარით ალებული და საკუთარი მიწები დეს.
ქუთაისის	414.560	0,28
თფილისის	110.672	0,81
სოხუმ. ოლ.	33.099	0,91
საქართველ.	178.331	0,56
		3,10

ს ა გ ლ ე ნ თ პ ა ნ კ ი .

საქართველოში გლეხები ძლიერ ცუდათ იყვენ მიწებით დაკმაყოფილებული. მიწები დაწუცმაცებული იყო. მცირე ნაკვეთუბზედ მეურნეობის წარმოება საძნელო იყო. გლეხობა თავის მოთხოვნილებას არსებული მიწის ნორმებით ვერ იკმაყოფილებდა და სხვადასხვა საშვალებით ცდილობდა გასაჭირიდან თავი დაეხწია. საშვალება ორნაირი იყო: მიწის იჯარით ალება და საგლეხო ბანკის დახმარება.

საგლეხო ბანკის პოლიტიკა განსაკუთრებული იყო ამიერ კავკასიაში. ბანკს დახმარება უნდა გაეწია რუსეთის გლეხობისათვის, რათა უმიწაწყლო გლეხობა მოწყოთ ამიერ კავკასიაში. რუსეთის მთავრობის განზრახვა ფრიიად მარტივი და გასაგები იყო. რუსეთს არ მიაჩნდა საიმედოთ კასია. ამიერ კავკასიის მცხოვრებთა შორის სურდათ დაესახლებიათ რუსება. რუსების დასახლებით მთავრობას განზრახვა ქონდა ზღუდე აეგო აღგილობრივ მცხოვრებთა შორის ყოველგვარი არასასურველი პოლიტიკური განზრახვის

წინააღმდეგ. ამიერ კავკასიაში და განსაკუთრებით საქართველოში დიდი სივიწროვე იყო მიწებისა და თავისუფალსა და სახაზინო მიწებზე კი ასახლებდენ რუსებს, და არა მცხიდრ მცხოვრებლებს. ეს იყო უკულმართი პოლიტიკა, მაგრამ ამ პოლიტიკას ქონდა თავისი აზრი. რუსეთის მთავრობა პოლიტიკას ადგილობრივი გლეხობის დაკმაყოფილებაზე მაღლა აყენებდა.

მიუხედავათ ამ პოლიტიკისა საქართველოს გლეხობა სარგებლობდა საგლეხო ბანკის დაარსებით და ბანკი იძულებული იყო ეს დახმარება გაეწია გლეხობისათვის. დახმარება არ იყო დიდი, მაგრამ მაინც მას ერთგვარი მნიშვნელობა ქონდა.

რა დახმარება გაუწია საქართველოს გლეხობას საგლეხო ბანკმა და რამდენი მიწები შეიძინა ამ ბანკის შემწეობით გლეხობამ, 1883—1914 წლამდე, შემდეგი ცნობებიდან ჩანს:

გუბერნია	სულ იყო გაცემული სესხი	ნაყიდი იყო დესი- ატინა	ვინ იყიდა
თურილისის	43	21.883	სოფლის საზოგადოებებმა
	195	74.229	ამხანაგობებმა
	543	7.056	ცალ-ცალკე გლეხებმა
ქუთაისის	—	—	სოფლის საზოგადოებებმა
	15	1.296	ამხანაგობებმა
	373	772	ცალ-ცალკე გლეხებმა
საგლეხო ბანკის შემწეობით გლეხობამ შეიძინა:			
თურილისის გუბერნიაში — 103.199 დეს.			
ქუთაისის		2.068	"
		106.267	"

1883—1914 წლ. საგლეხო ბანკის შემწეობით ამიერ კავკასიის გლეხებმა შეიძინა 114.717 დეს. ამიერ კავკასიის გლეხობის მიწის მფლობელობასთან შედარებით ეს შეადგენს $2,4\%$. საგლეხო ბანკის დახმარება ძლიერ უმნიშვნელო იყო და მისგან გამოწვეული გლეხების მღვმარეობის ცალილებაც ფრიად მყრთალი. იმ მიწებიდან, რომელიც ამიერ კავკასიაში გლეხობამ შეიძინა საგლეხო ბან-

კის დახმარებით, უმეტესი ნაწილი შეიძინა საქართველოს გლეხობამ—91,8%, ქუთაისის გუბერნიის გლეხობამ შეიძინა 1,8%, თფილისის გუბ. გლეხობამ—90,3%.

საგლეხო ბანკის დახმარებით ისარგებლა სოფლის საზოგადოებებმა, ამხანაგობებმა და თოვლმა გლეხებმა. საგლეხო ბანკიდან შეძნილი მიწები მათ შორის ამნაირათ იყო განაწილებული.

გუბერნია	% მიწებისა, შეს- / მიწებისა, შეს- / მიწებისა, შეს- / ყიდული სოფლის ყიდული ამხანა- / ყიდული ცალ- / საზოგოებ. მიერ გობების მიერ ცალკე გლეხებ.
თფილისის	21,2
ქუთაისის	— 62,6 3,7

საგლეხო ბანკის დახმარებით ისარგებლა თფილისის გუბერნიის გლეხობამ. უმეტესი ნაწილი შესყიდული იყო საზოგადოებათა და ამხანაგობების მიერ. შესყიდვის პირობები იმდენათ საძნელო იყო, რომ ბანკის დახმარებით სარგებლობა შესაძლებელი შეიქნა მხოლოდ შეერთებული ძალებით. კერძოთ გლეხებისათვის ბანკის დახმარება მძიმე იყო და ისარგებლა მხოლოდ შეძლებულმა გლეხობამ.

უმთავრესი მიზეზი და სიმძიმე საგლეხო ბანკის დახმარებისა იმაში მდგომარეობდა, რომ მის მიერ შესყიდული მიწები ძვირი იყო. საგლეხო ბანკი გაცილებით უფრო ძვირათ აფასებდა მიწებს, ვიღრე სახელმწიფო და სხვა ბანკები.

აი ცნობები 1/I 1915 წლისა:

თფილისის გუბერნია.

	შეფასება დესიატინის	გაცემული სესხი
სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი	39 მან.	23 მან.
საგლეხო ბანკი	. . . 57 „ 47 „	
	+18 „ +24 „	
კერძო ბანკები	. . . 47 „ 22 „	
საგლეხო ბანკი	. . . 57 „ 47 „	
	+10 „ +25 „	

ქუთაისის გუბერნია.

სახელმწიფო საადგილ-მამულო ბანკი	81 მან.	48 მან.
საგლეხო ბანკი	. . . 102 „ 85 „	
	+21 „ +37 „	

კერძო ბანკები	.	.	124	"	56	"
საგლეხო ბანკი	.	.	102	"	85	"

— 22 მან. +29 მან.

საგლეხო ბანკი უფრო ძვირათ აფასებდა მიწებს, ვიდრე სახელმწიფო და კერძო ბანკები. საგლეხო ბანკის შემწეობით შესყიდული მიწები თფილისის გუბერნიაში უჯდებობა გლეხებს $23 - 48\%$ უფრო ძვირათ, ვიდრე სხვა ჯგუფს მიწის მყიდველებისას, ქუთაისის გუბერნიაში $- 25\%$.

მიმდინარე საუკუნის დასაწყისში ქუთაისის გუბერნიაში $60 - 64\%$ გლეხობისა იჯარით აფართოებდა მიწის-მფლობელობას. დიდი მოთხოვნილება მიწებისა, მიწის საიჯარო ფასების გადიდებას იწვევს $\frac{4}{5} 60\%$, გლეხის მეურნეობის მთელი შემოსავლისა იჯარაზე იხარჯება. მიმდინარე საუკუნის დასაწყისში შორაპნის მაზრაში 64% , სავალდებულო გლეხებისა იმდენ მიწებს იღებდენ იჯარით, რამდენიც თითონ მათ ქონდათ. 1884—86 წლ. თფილისის გუბერნიაში 941 სოფლიდან იჯარით იღებდა მიწებს 393 სოფელი ანუ 42% .

მიწის იჯარით გაცემა იწვევს მიწის ფასების ზრდას. 1902 ან 1912 წლამდე მიწის იჯარა ამნაირათ გაიზარდა:

1902 წ.				1912 წ.			
ზამთრის პირ- ზედ დათესი- ლი დესიატინა	ზაფხულის პირზედ და- თესილი დეს.	ზამთრის პირ- ზედ დათესი- ლი დესიატინა	ზაფხულის პირზედ და- თესილი დეს.				
სარ- წყავი მიწა	სარ- წყავი მიწა	სარ- წყავი მიწა	სარ- წყავი მიწა				

მან. კ. მან. კ. მან. კ. მან. კ. მან. კ. მან. კ.
ქუთაისის 18—0 14—0 18—7 13—3 24—0 21—8 24—1 20—8
თფილის. 11—8 7—7 12—2 7—5 17—8 11—7 18—7 11—3

პროცენტებში მიწის იჯარით ზრდა ამნაირათ გამოიხატება:

გუბერნია	ზამთრის პირზედ დათესი- ლი დესიატინა				ზაფხულის პირზედ დათე- სილი დესიატინა			
	სარწყავი მიწა	ურწყავი მიწა	სარწყავი მიწა	ურწყავი მიწა	სარწყავი მიწა	ურწყავი მიწა	სარწყავი მიწა	ურწყავი მიწა

ქუთაისის	მან. 6	% 33,3	მან. 7—3	% 52,1	მან. 5—4	% 28,8	მან. 7—5	% 56,3
თფილის.	6	50,9	4—0	52,9	6—5	53,1	3—8	50

ათი წლის განმავლობაში საქართველოში საიჯარო ფასის ზრდა არ შეჩერებულა.

საქართველოში განსაკუთრებით გავრცელებულია მოკლე ვადიანი იჯარა—ერთი წლით, ანუ ერთი მოსავლის ვადით. იჯარის გადასახატი არის ნაწილი შემოსავლისა. ქუთაისის გუბერნიაში—მინდი ან ლალა $\frac{1}{4}$, $\frac{1}{3}$, $\frac{1}{2}$ მოსავლის ან 25—50%, ალაგ-ალაგ 60% მთელი შემოსავლისა და არა წმინდა შემოსავლის. მოიჯარადრესია სათესლე მასალა, მუშაობა, სამეურნეო იარაღი. თფილისის გუბერნიაში იჯარის ფასი არის— $\frac{1}{10}$, $\frac{1}{6}$, $\frac{1}{2}$ მთელი შემოსავლისა.

მოკლე ვადიანი იჯარა ძლიერ საზარალო იყო კერძო მეურნისათვის და მთელი საქართველოისათვის. მოკლე ვადიანი იჯარა იმით იყო გამოწვეული, რომ იჯარის ფასი ყოველ წლიურათ იცვლებოდა და მიწის მესაკუთრის მისწრაფება იყო არ შეეკრა დიდი ვადიანი იჯარა, რათა არ დაეკარება გაზრდილი ფასები. ეს მეურნესათვის საზარალო იყო, რადგან ერთი მოსავლით იჯარით სარგებლობა არ აძლევდა საშვალებას მიწა გაეუმჯობესებია, აეწია მოსავალი. სამელიორაციო ხარჯების გაწევა საშიში იყო, რადგან არ იყო იმედი და საფუძველი, რომ მოიჯარადრე მეორე წელს იქნებოდა იმ ნაკვეთის მოიჯარადრე, რომელზედაც მან ხარჯები გასწია, ამნაირათ მოკლე ვადიანი იჯარა სრულებით სპობლა სამელიორაციო მუშაობას, მიწები ფუჭდებოდა, მოსავლიანობა ეცემოდა და ხალხის მეურნეობა ძლიერ დაქვეითდა. იჯარის ფასი იმდენათ დიდი იყო,—მთელი მოსავლის 60%-დე ადიოდა,—რომ იგი სრულებით საზარალო დგებოდა. მეურნეს, რომ თავისი ხარჯები და იჯარის ფასი შეერთებია, დაინახავდი, რომ იჯარით აღებული მიწები მას არაფერს არ აძლევდა და ყოველ შემთხვევაში ვერ აუნაზღაურებდა გაწეულ ხარჯებს. მიუხედავათ ამისა გლეხობა მიწებს იჯარით იღებდა. ეს იყო უკულმართი პირობები, ერთნაირი თავის მოტყუილება, თვალთმაჯუბა,—მაგრამ სხვა გამოსავალი საქართველოს გლეხობას არ ქონდა.

მიწისმფლობელობის რეფორმა საქართველოში.

რუსეთის თვითმპრობელობის დანგრევის შემდეგ, 1917 წლ. რევოლიუციამ წამოაყენა საქართველოში მიწისმფლობელობის რეფორმის საკითხი.

ამიერ კავკასიის კომისარიატის 27 მარტისა და 14 აპრილის დადგენილებით რუსეთის სამეფო და საუფლის-წულო მამულები ჩამოერთვა მათ მესაკუთრეებს და გადაეცა ხაზინას. 1917 წ. 16 დეკემბერს იმავე კომისარიატმა გამოაქვეყნა დებულება, რომელმაც არსებული წესი მიწისმფლობელობისა ძირიანათ შესცვალა. ყველა სახელმწიფო, საუფლისწულო, საეკლესიო, სამონასტრო და კერძო პირების მიწები, განსაზღვრულ ნორმებს ზევით, ჩამოერთვა მესაკუთრეთ და გადაირიცხა ფონდში. ამ ფონდიდან მიწები უნდა გადასულიყო უმიწაწყლო, მცირე მიწების მესაკუთრე მშრომელ ხალხის განკარგულებაში. გაუქმებულ იქმნა ხიზნობა. ხიზნებს უნდა დარჩენოდა იმდენი მიწა, რომ იგი არ აღმატებოდა განსაზღვრულ ნორმებს. ფონდში გადარიცხული მიწები უნდა განაწილებულიყო მშრომელთა შორის. დებულების ძალით მიწა რიგდებოდა იმის მიხედვით, თუ რამდენათ საჭიროებდა მიწას ესა თუ ის მეურნე. გასანაწილებლათ არ იყო დანიშნული: ტყეები, წყალი, მიწის გული, საზამთრო და საზაფხულო საძოვარი ადგილები, რადგან ამ მიწების დანიშნულება განსაკუთრებული იყო და ამ მიწებს ქონდა მნიშვნელობა მთელი ხალხისათვის და მათი განაწილება მიუღებელი იყო. არ უნდა განაწილებულიყო აგრეთვე ისეთი მიწები და მამულები, რომელსაც საყოველთაო მნიშვნელობა ქონდა მთელი ხალხის მეურნეობისათვის: მამულები, სადაც მოწყობილი იყო მერქეთბა, ჩაის პლანტაციები, სადაც აშენებდენ საუკეთესო ჯიშის საქონელს და მოყავდათ თესლეულობა. ამნაირათ, მიწისმფლობელობის წესის გადაკეთების და მოწყობის სათავეში ჩადგა სახელმწიფო.

ეკლესიებს და მონასტრებს მიწები სრულებით ჩამოერთვა; მონასტერს და ეკლესიას მხოლოდ მაშინ მიეცემოდა ნაწილი, განსაზღვრულ პირობებში და ნორმებში, თუ ისინი აწარმოებდენ საკუთარ მეურნეობას და

ამას საჭიროთ სცნობდა სათანალო უწყება, რომელსაც გადაეცა ჩამორთმეული მიწების მართვა-გამგეობა. რადგან მესაკუთრებს მიწები ჩამოერთვა და მოისპო მათი საკუთრების უფლებაც, მოისპო აგრეთვე მიწების იჯარით გაცემისა უფლებაც. იჯარით გაცემული მიწების საიჯარო ქირათ დაწესებული მოსავლის ნაწილი შეცვლილ და შემცირებულ იქნა (1916 წ. 14 აგვისტოს დადგენილება ამიერ კავკასიის კომისარიატისა). ვინც იხდიდა $\frac{1}{4}$, მას უნდა მიეცა $\frac{1}{5}$, $\frac{1}{8}$ -ის მაგიერ $\frac{1}{8}$ და არა ნაკლები $\frac{1}{10}$ -სა. საიჯარო გადასახადი შემოსავლის ნაწილი უნდა შეცვლილიყო ფულის გადახდით. გადასახადი ფულათ უნდა გამოანგარიშებულიყო მეურნეობის ნაწარმოების ფასების მიხედვით. მიწის მესაკუთრეს მიეცემოდა იჯარის ფასი ფულათ, და არა შემოსავლის ნაწილით. მიწის მესაკუთრეს მიეცა უფლება იჯარის ფასი მოეთხოვა მიწის შემოსავლის ნაწილისა მხოლოდ იმდენი, რამდენიც საჭირო იყო ოჯახისათვის ერთი წლის განმავლობაში. ეს იყო დროებითი დადგინილება, გარდამავალი ხანისა, 1917—18 წლისათვის.

ისეთი მიწების ყიდვა-გაყიდვა, მემკვიდრეობით გადაცემა, რომლებზედაც რაიმე მეურნეობა წარმოებდა, და ტყეებზედ — შეიზღუდა. ამ საქმეების წარმოების შესახებ თითოეულ შემთხვევაში უნდა ნება დაერთო სამიწისმოქმედო კომისიებს მიწისმოქმედების მინისტრის ნებართვითა და დამტკიცებით.

ხაზინიდან, საუფლისწულო გამგეობიდან, ეკლესიიდან, მონასტრებიდან და კერძო მესაკუთრეებიდან ჩამორთმეული მიწები გადაირიცხა სახელმწიფო ფონდში და მისი გამგეობა გადაეცა სახელმწიფოს. სახელმწიფო ფონდში გადარიცხული მიწები უნდა გადაცემოდა უმიწაწყლო და მცირე მიწების მესაკუთრეთ, რომელთა უმთავრესი სახსარი არსებობისა სოფლის მეურნეობა იყო. მიწა მიეცემა მათ, ვინც თითონ აწარმოებს მეურნეობას, რათა მისი მოთხოვნილება დაკმაყოფილებული ყოფილიყო. სახელმწიფო ფონდიდან მიწები გადაეცემა სასყიდლით, და არა უსასყიდლოთ; სახელმწიფო მიწებისაგან აღებული თანხებით უნდა დაფარულიყო სახელმწიფოს ხარჯები, რადგან სა-

ხელმწიფოს უნდა დაეფარა ყველა ვალი, რომელიც ირი-
ცხებოდა სახელმწიფო ფონდში გადარიცხულ მიწებზედ.
ამ თანხებიდან უნდა გაღებულიყო საჭირო თანხები, გლე-
ხების გადასახლება-გადმოსახლებით გაწეული ხარჯები,
სამელიორაციო ხარჯები,—სოფლის მეურნეობის მოსა-
წყობათ და მოსაგვარებლათ.

სახელმწიფო ფონდის მიწები მიეცემა უმიწაწყლო
და მცირე მიწების მესაკუთრე მეურნეებს. უმიწაწყლო
სოფლის მეურნეთ არის ოლიარებული ის მეურნე, რომელ-
საც მიწა სრულებით არა ქონდა. მცირე მიწების მესა-
კუთრეთ ითვლება ისეთი პირი, რომელსაც ქონდა მიწები
დაწესებულ ნორმებზედ ნაკლები (იხ. კანონი 1919 წ.).

მიწები მესაკუთრეებს სრულებით უსასყიდლოთ ჩა-
მოერთვა, მესაკუთრეებს მიწებით ჩამოერთვა არა სავსებით.
თითოეულ მესაკუთრეს დაეტოვა განსაზღვრული ნორმები.
ეს ნორმები ყველასათვის სავალდებულო იყო. ფონდიდან
მიწების განაწილების დროს ყველგან ამ ნორმებით უნდა
ეხელმძღვანელებიათ: 1) იმ რაიონებში, სადაც მაღალი კულ-
ტურის წარმოება იყო (ვენახები, ბალები და სხვ.), ნორმა
იყო 7 დესიატინა, 2) რაიონები, სადაც გავრცელებული
იყო ხორბლეულობის წარმოება—15 დესიატინა, 3) სადაც
მესაქონლეობა იყო დამკვიდრებული—40 დესიატინა. თუ
მესაკუთრეს ამ ნორმებზედ მეტი მიწა ქონდა,—ნორ-
მის ზედმეტი ჩამოერთვა. ფონდიდან მიწების განაწილე-
ბის დროს ეს ნორმები ყველგან სავალდებულო იყო და
ნორმაზედ მეტი არვის არ ეძლეოდა. სამიწისმოქმედი კო-
მიტეტებს, რომლებიც აწარმოებენ მიწების ჩამორთმევას
და განაწილებას, ადგილობრივი პირობების მიხედვით უფ-
ლება ეძლევა ჩამორთმევის დროს დაუტოვონ მესაკუთ-
რეებს ნორმაზედ მეტი—7-ს მაგიერ—10, 15 მაგიერ
—20, 40 მაგიერ—50 დესიატინა. მხოლოდ ნორმის გა-
დაცილებისა და გადიდებისათვის უნდა იქნეს განსაკუთრე-
ბული რაიმე საპატიო პირობები, ადგილობრივ გამორკვე-
ული და დამტკიცებული. (ამიერ კავკასიის კომისარიატის
კანონი 1918 წ. 7 მარტისა).

სამიწისმცულობელო რეფორმის შესრულება.

კანონის ძალით მემამულებს, განსაკუთრებით თავად-აზნაურობას, ჩამორთვა მიწები და გადაირიცხა სახელმწიფო ფონდში გლეხებისათვის გადასაცემათ.

კერძო მემამულებს ქონდათ:

თფილისის გუბერნიაში—511.538 დეს.

ქუთაისის	110.157	"
----------	---------	---

საქართველოში—621.695 დეს.

საშვალოთ თითო მემამულის მიწის სივრცე შეაღენს:

თფილისის გუბერნიაში—188 დეს.

ქუთაისის	110	"
----------	-----	---

საქართველოში—167 დეს.

მიწების ჩამორთმევის შემდეგ მემამულეთ დარჩა:

თფილისის გუბერნიაში—27.572 დეს.

ქუთაისის	7.115	"
----------	-------	---

საქართველოში—34.687 დეს.

მესაკუთრებს ჩამორთმევის შემდეგ დარჩა საშვალოთ:

თფილისის გუბერნიაში—10,16 დეს.

ქუთაისის	7,15	"
----------	------	---

საქართველოში—9,35 დეს.

მესაკუთრებისთვის დატოვებული მიწები საერთო საკუთრებასთან შედარებით შეაღენენ:

თფილისის გუბერნიაში—5,40⁰/₀

ქუთაისის	6,40	"
----------	------	---

საქართველოში—5.57 "

სულ არის ჩამორთმეული:

თფილისის გუბერნიაში—487.592 დეს.

ქუთაისის	122.981	"
----------	---------	---

საქართველოში—610.573 დეს.

ჩამორთმეული მიწები საერთო საკუთრებასთან შედარებით შეაღენენ:

თფილისის გუბერნიაში—94,60⁰/₀

ქუთაისის	93,54	"
----------	-------	---

საქართველოში—94,43 "

ჩამორთმეული მიწები მეურნეობის მიხედვით ამნაი-
რათ არის განაწილებული:

გუბერნია	დამუ- შავე- ბული	% მთელი მიწებ.	ვარ- გისი მიწები	%	საძო- ვარი	%
თფილისის	146794	30,33	210370	43,46	47041	9,72
ქუთაისის	29992	24,10	36832	35,74	19700	19,11
საქართვე- ლოში . .	176786	30,11	247202	42,11	66741	11,37
გუბერნია	ტყე	%	საძოვარზე გასაღენი მიწები	%	უვარ- გისი	%
თფილისის	211511	34,70	63576	13,13	15022	3,12
ქუთაისის	40172	36,99	6839	6,64	6338	6,16
საქართვე- ლოში . .	251683	42,88	70415	12,00	21360	6,64

ჩამორთმეული მიწები გადაეცემა გლეხებს. რამდე-
ნათ გადიდება გლეხების მიწისმფლობელობა? გლეხის
თითო სამოსახლოს სახელმწიფო ფონდიდან შეხვდება და-
მუშავებული მიწები:

ქუთაისის გუბერნიაში — 0,16 დეს.

თფილისის " 1,61 "

სოხუმის ოლქში . . 0,36 "

მთელს საქართველოში — 0,83 დეს.

გლეხებისა და წვრილი მესაკუთრეების თითო მო-
სახლობას ეკუთვნოდა:

ქუთაისის გუბერნიაში — 1,42 დეს.

თფილისის " 3,57 "

სოხუმის ოლქში . . 2,28 "

მთელს საქართველოში — 2,37 დეს.

თითოეულზედ მოდის:

გუბერნია	დამუშავებული მი- წები სახელმწიფო ფონდიდან	დამუშავებული მიწები გლეხების და წვრილი მესაკუთრეებისა
ქუთაისის	0,03	0,27
თფილისის . . .	0,25	0,58
სოხუმის ოლქში	0,07	0,44
საქართველოში	0,14	0,39

მიწის ფასები საქართველოში.

მიწის სიციტროები, მიწის მოთხოვნილებამ, გამოიწვია
მიწის ფასების ზრდა საქართველოში:

გუბერნია	დესიატინა მიწის ფასი მან. კაპ.		
	1891 წ.	1901 წ.	1911 წ.
ქუთაისის	192—1	285—9	404—4
თფილისის	51—3	93—5	150—0

მიწის ფასების ზრდა %:

გუბერნია	1891—1901 წ.	1901—1911 წ.	1891—1911 წ.
ქუთაისის	48,8	41,4	110,5
თფილისის	80,3	60,4	192,3

მიწის ფასი საქართველოში 20 წლის განმავლობაში შეუჩერებლათ იზრდებოდა და კიდევაც გაორკეცდა, მიწის ფასის ზრდა მეტი იყო თფილისის გუბერნიაში, ვიდრე ქუთაისის გუბერნიაში.

ზემომოყვანილი ანგარიში წარმოაღენს საშვალო ფასებს. კერძოთ კი თითოეულ მაზრაში მიწის ფასი მეტი იყო, და უფრო მეტი იყო ზრდა, ვიდრე საერთო საშვალო ფასები ორ გუბერნიაში:

გუბერნია და მაზრა	1891 წ.	1901 წ.	1911 წ.
ქუთაისის			
რაჭის	367,1	532,5	680,2
შორაპნის	238,7	398,0	528,6
ლეჩხუმის	296,6	371,8	522,0
ქუთაისის.	175,1	275,7	428,0
თფილისის			
ახალციხის.	185,0	380,8	513,1
ბორიჩალოს	26,2	72,8	159,4
გორის.	58,7	81,9	128,5
თელავის.	43,1	61,9	85,6
თფილისის.	35,0	55,0	88,1

მიწის ფასის ზრდა ორი მიზეზით არის გამოწვეუ-

ლი: მიწის სივიწროვით და მეურნეობისათვის მისი მნიშვნელობით. რამდენათაც მეტი არის მიწის სივიწრო, მიწის ფასი იმდენათ იზრდება.

მიწის ფასის ზრდა საერთო მოვლენაა საქართველოში და პირდაპირ დამოკიდებულია მიწისმფლობელობის ხასიათისა და განვითარებისაგან.

სამიწისმფლობელო რეფორმის შედეგები.

საქართველოში გატარებული მიწისმფლობელობის რეფორმა აშენებულია ერთ თვალსაჩინო მოსაზრებაზე. მართალია, საქართველოში გავრცელებული იყო წვრილი მიწისმფლობელობა, მაგრამ მიწები ისე იყო განაწილებული, რომ დიდს უთანასწორობას ქონდა აღგილი. მიწები მიეცემა მწოლოდ მათ, ვინც ეწევა მეურნეობას, ვისთვისაც მეურნეობა არის ძირითადი სახსარი არსებობისა. მიწისმფლობელობის გადაჯგუფება აშენებულია მიწების სამართლიანათ და სისწორით განაწილებაზე. რეფორმა იცავს მშრომელს ხალხს, მის ნივთიერ მდგომარეობას.

მნიშვნელობა სამიწისმფლობელო რეფორმისა საქართველოში იმით არის აღსანიშნავი, რომ რეფორმა გატარებულ იქნა განსაკუთრებულ პირობებში: ხალხის ცხოვრების ეკონომიკური პირობები სრულიად დაინგრა; რეფოლიუციამ ერთიანათ გადაატრიალა არსებული წესწყობილება და მთელი ნივთიერი და სულიერი განწყობილება დაიშალა. ასეთ პირობებში ხდებოდა მიწისმფლობელობის უდიდესი საკითხების გადაწყვეტა. ამაშია უდიდესი მნიშვნელობა რეფორმისა.

მიწები გლეხობას გადაეცა არა უსასყიდლოთ. მიწებზედ დადებული ფასები შელავათიანია და სამართლიანი. მართალია, მესაკუთრეებს ჩამოერთვა მიწები, მაგრამ მათ დაეტოვა ნორმები. ნორმები მიღებული კანონის—7, 15, 40 დეს.— სრულიად საკმარისია. იმ რაიონებში, სადაც შესაძლებელი არის მაღალი კულტურა (მევრნახეობა, მებალეობა და სხვა), დანიშნულია 7 დესიატინა. 7 დესიატინა კი, თუ მივიღებთ საქართველოს ბუნებრივ პირობებს, მიწის მოსავლიანობას, მაღალი კულტურის შე-

საძლებლობას, დავრწმუნდებით, რომ ეს ნოოსა უკუთხეს
და აქმაყოფილებს, თუ რომ იგი თითონ აწარმოებს მეურ-
ნეობას. ჩამორთმეული მიწები წინეთ იჯარით იცემოდა
და დიდ ტვირთად აწვა სოფლის მეურნეობას. მიწების
ჩამორთმევით მოისპონ საშუალება მშრომელი მეურნის
დაბეჭივებისა.

სამიწისმფლობელო რეფორმამ შესცვალა წესი მი-
წისმფლობელობისა, გააფართოვა წვრილი მეურნეობის მი-
წისმფლობელობა. მხოლოდ მშრომელი მეურნის მიწის-
მფლობელობა იმდენათ ვერ გაფართოვდა, რომ იგი სრუ-
ლიად უზრუნველყოფილიყო მიწით. თითოეულ მეურნეს
სახელმწიფო ფონდიდან ერგება ქუთაისის გუბერნიაში 0,03
დეს. ხოლო, თვითისის გუბერნიაში — 0,25 დეს., საშვალოდ
რესპუბლიკაში — 0,14 დეს. ეს არის ის მიწები, სადაც შე-
იძლება მეურნეობა, ეს არის კულტურული მიწები. ასეთი
ნორმების დამატება ვერ შესცვლის წვრილ მეურნეთა მი-
წისმფლობელობის ხასიათს. მხოლოდ მოხდა შემდეგი
ცვლილება: მეურნეს მოეხსნა ის მონობა და მორჩილება,
რომელიც გამოწვეული იყო მიწისმფლობელობის ძველი
წესით. ამიერიდან საქართველოში მიწის გამგე და გამნა-
წილებელი არის სახელმწიფო და იგი იცავს მშრომელთა
ინტერესებს.

— — — — —

$$\begin{array}{r}
 0,03 \text{ გვ.} \\
 + 0,25 \text{ გვ.} \\
 \hline
 0,14 \text{ გვ.}
 \end{array}$$